ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №1203

2018 წლის 28 თებერვალი

ქ. ბორჯომი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩის სახელდების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე – ქალაქ ბორჯომში პლატოს აღმართის მიმდებარედ მდებარე ტერიტორიაზე გაგრძელდეს და ეწოდოს „სადგერის სახელობის ქუჩა“, თანდართული რუკის თანახმად (დანართი 1).
2. განკარგულება გადაეგზავნოს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.
3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქუჩა №62).

საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ჩაჩანიძე